№ 34 თებერვალი 31, ოთხშაბათი — 1891 — თებერვალი 13, ოთხშაბათი № 34

გაზეთის ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორი კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაწყვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 12 თებერვალი

ჩვენ არა დროს არა გვჯერებია, რომ ეგრედ-წოდებული „სამთა კავშირი,“ გერმანიისა, ავსტრი-ვენგრიისა და იტალიისა, კლდეზე დადგენილი შენობა ყოფილიყოს. თ. ბისმარკმა ეს კავშირი შეჰქმნა და თითონვე, როგორც ეხლა ეტყობა, ჰშინებია, რომ ეგ ციხე-სიმაგრე მიგჯიდამვე არ გატყდესო და ამიტომაც საფრანგეთისაგან სამუდამოდ იმედ-მოკვლებული რუსეთს თურმე ჩუმ-ჩუმად შეჰხლიმებდა. ეხლაც თ. ბისმარკი იმას აყვედრის გერმანიის ახალს პოლიტიკოსებს, რომ რუსეთს საკმაოდ ტკბილად არ ეკიდებით და არ ექცევითო. თ. ბისმარკის მომხრე გაზეთები სულ ამას იძახიან ეხლა, რომ ყოფილი სახელოვანი კანცლერი გერმანიისა სულ მუდამ ჰცდილობდაო, რომ რუსეთი არ გაეჯავრებინა და დაეახლოვებინაო.

ეს ასე არ იქნებოდა, თუ თითონ თ. ბისმარკს სჯეროდა სიმტკიცე და სიმაგრე მის მიერვე შექმნილ „სამთა კავშირისა“. სჩანს ამ „რკინის კანცლერს“, როგორც შორს-მხედველს კაცს, წინადვე უგრძნია რა მანძილი აქვს „სამთა კავშირსა“ და რა ჭია უზის გულში გამოსაღრნავად და დასაფუშავად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ამ შავ-დღისთვის სწუხებია თ. ბისმარკს რუსეთთან კეთილი განწყობილება ჰქონებოდა.

დღეს სწორედ ნიშნებია, რომ მოვიდა დასაწყისი „სამთა კავშირის“ დასასრულისა. იტალიაში გულიადი და მხნე მომხრე „სამთა კავშირისა“ კრისპი ჩამოაბძანეს მთავარ-მინისტრის ტახტიდამ და მის მაგიერ დასვეს მარკიზი დირუდინი, რომელმაც, აუწყა რა თვისი ცირკულიარი ევროპის სახელმწიფოებს, არც ერთგან არ ახსენა თურმე „სამთა კავშირი“. ამ არ-ხსენებას ყველა გაზეთმა და, როგორც ისმის, ყველა სახელმწიფომ ყურადღება მიაქცია, იმიტომ-რომ თავი და ბოლო იტალიის საგარეო პოლიტიკისა, მისი უმთავრესი და უპირველესი საგანი ეგ „სამთა კავშირია“ და მისი არ-ხსენება იმის მომასწავებელია, რომ იტალიის ეხლანდელ სამინისტროსათვის ეგ „სამთა კავშირი“ ვითომ-და სახსენებლადაც არ არის მისაჩნევიო. რა თქმა უნდა, ჯერ კრისპის გადაყენება და მერე ასეთი უყურადღებობა ახალის მინისტრისა არაფრად სასიამოვნოა გერმანიისათვის და, პირ-იქით, ბევრად სასიხარულოა საფრანგეთისათვის, რომლის სამუქაროდაც უფრო იყო შემდგარი ეს „სამთა კავშირი“ და რომელსაც ძველი მინისტრი კრისპი მეტად უდიერად ეპყრობოდა, საცა-კი და როცა-კი შემთხვევა ეძლეოდა.

ეხლანდელი მთავარ-მინისტრი ისე მტრად გადაკიდებული არ არის საფრანგეთზე, როგორც კრისპი იყო. თუნდ ეგეც არ იყოს, ისიც საკმარისია მერმისის ცოტაოდნად წინადვე დანახვისათვის, რომ ახალი სამხედრო მინისტრი იტალიისა ცნობილია როგორც მოყვარე საფრანგეთისა. გაზეთებმა გაიხსენეს, რომ ამ მინისტრს ერთხელ როდესღაც საქვეყნოდ და გულახდილად უთქვამს, რომ ომი საფრანგეთთან იტალიისათვის ძმათა ხოცვის ომი იქმნებაო. გარდა ამისა, სახეში უნდა მივიღოთ, რომ ახალმა იტალიის მინისტრმა თავის მოქმედების პროგრამმად სახელმწიფოს გასავალის მოჭრა და შემოკლება გამოაცხადა. გასავლის შემოკლება იტალიაში დღეს ამაო სიტყვა იქნება, თუ ეგ შემოკლება არ შეეხო სამხედრო ხარჯსა. სამხედრო ხარჯის შემოკლება საომარ ღონის მოკლებას მოასწავებს და აი „სამთა კავშირისათვის“ ფონი, რომელიც სწორედ ამ ადგილას არჩობს.

საომარ ღონეს მოკლებული იტალია არაფერი სახარბიელოა გერმანიისათვის, რომელსაც კრისპიმ ნაღოსავით გამოაბა იტალია და ყელთამდე ვალში ამოაყოფინა თავი. დღეს, როგორც ეტყობა, იტალია აპირობს თვალი აახილოს თავის მდგომარეობაზე და თავის ქერქში ჩასდგეს, რადგანაც დალოცვილი «სამთა კავშირი» მეტისმეტად ძვირად უჯდება და რისთვის? მარტო იმისთვის, რომ გერმანიამ იბატონოს ევროპაში და იტალიის მომხრეობით თავისი საკუთარი მტერი აფრთხოს და აშინოს.

ავსტრი-ვენგრიაც ჰხედავს, რომ სხვის სათამაშო ბურთად გაიხადა თავი, ჰგრძნობს, რომ გერმანია ორ-პირი და ორ-გული ყოფილა, რადგანაც ერთსა და იმავე დროს ამასაც უყვავებდა, თანხებს აძლევდა და მის მტერსაც თვალს უშვრებოდა. ეს გამომჟღავნდა ამ მოკლე ხანში თ. ბისმარკის გაზეთების წყალობით, რომელნიც ვერაფრად სანდოდ და საიმედოდ იხსენებდნენ ავსტრი-ვენგრიას და რუსეთთან არ-დაახლოვებას ცოდვად უთვლიდნენ და უთვლიან კიდეც ეხლანდელს კანცლერს გერმანიისას. რა თქმა უნდა, რომ ამისთანა ამბების ზედ-მოქმედების ქვეშ გაზეთები ეხლანდელს ყოფნას ავსტრიის მემკვიდრისას რუსეთში და მის დიდ ყოფით იქ მიღებას საპოლიტიკო მნიშვნელობას აძლევენ და ამბობენ, რომ ავსტრი-ვენგრიას ცალკე უნდა რუსეთთან საქმე დაიჭიროსო.

სწორე, რასაკვირველია, არ ვინ იცის, მაგრამ თუ ეს მოხდა, მაშინ ჰნახავთ, რომ გერმანია პირსა და გულს საფრანგეთისაკენ მიიბრუნებს და ეცდება როგორმე,—იქნება ელზას-ლოტრენის ასე თუ ისე დათმობითაც,—საფრანგეთი მოიმხროს და დაიმეგობროს. ახალგაზდა იმპერატორმა გერმანიისამ არა ერთხელ ამ აზრით გაუგორა გამათელი საფრანგეთს. ჯერ ხმა გააგდო, თუ თითონ არა, მისმა გაზეთებმა მაინც, რომ ვითომ საფრანგეთში მისვლა უნდა, ვნახოთ ერთი ამაზე რას იტყვიანო. საფრანგეთს ვერაფრად ეჭაშნიკა ასეთი სტუმრობა და ამის გამო ამაზე ხმა მისწყდა. ვინ არ იცის რა ტკბილად მოექცა მუშათა საქმისათვის გამოგზავნილ საფრანგეთის დელეგატებს იმპერატორი ვილჰელმი. ეხლა-ხან სადილად ეწვია საფრანგეთის ელჩს ბერლინში და დიდხანს ტკბილად ელაპარაკა ელჩს, თუმცა პოლიტიკის გამო სიტყვაც არ წასცდენია. ეხლა-ხანვე საფრანგეთის აკადემიას იმპერატორმა თავისი მწუხარება გამოუცხადა სახელოვანის მხატვარის გარდაცვალების გამო და საფრანგეთის ელჩსაც აუწყა, რომ ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნება, თუ საფრანგეთის მხატვარნი მონაწილეობას მიიღებენ ბერლინის სამხატვრო გამოფენაშიო. ყოველივე ეს ძალიან სასიამოვნოდ დარჩენიათ საფრანგეთში და გარეშე მაყურებლისათვისაც უმნიშვნელო არ არის, თუ ნამეტნავად გავიხსენებთ იმას, რომ პირველ ხანებში იგივ იმპერატორი ვილჰელმი საფრანგეთის ხსენებასაცკი გულ-მშვიდად ვერ აიტანდა ხოლმე.

თითონ საფრანგეთშიაც ცოტად თუ ბევრად გზა გაეხსნა იმედს გერმანიასთან ასე თუ ისე დაახლოვებისას. ფერრი, რომელსაც ერთს დროს შესწამეს და საბუთიანაც სურვილი გერმანიასთან მორიგებისა და ამის გამო აღარსად ამოარჩიეს და ყველგან შავი კენჭი მისცეს, დღეს ისევ საპოლიტიკო ასპარეზზე გამოვიდა, რადგანაც სენატში იქმნა ამორჩეული. ჩვენის ფიქრით, საფრანგეთს დღეს ამისთანა სახელმწიფო საქმის კაცი ბევრი არა ჰყავს და ამისი ხელ-ახლად გამოსვლა სახელმწიფო საქმეთა მოედანზე გერმანიის მომხრეობისათვის შესანიშნავი ნიშანია.

# ფელეტონი

## სკანდინავიის მწერლობის შესახებ

თქვენ-კენ სკანდინავიის მწერლობისა თითქმის არა იციან-რა, მაშინ როდესაც ევროპაში ამ უკანასკნელს დროს ამ მწერლობას საკმაოდ შესამჩნევი მნიშვნელობა მიეცა და, ასე ვსინჯეთ, გერმანიის მწერლობაზედაც-კი არა მცირედი ზედმოქმედება იქონია. სკანდინავიის სამს მწერლობაში, სახელდობრ შვეციისა, ნორვეგიისა და დანიისაში, უფრო საყურადღებოა და მეტი მნიშვნელობაცა აქვს ნორვეგიის მწერლობას, რომელსაც ჰყავს ისეთი მწერალი დრამებისა, როგორიც არის იბსენი (Ibsen) და ამას გარდა კიდევ რამდენიმე საკმაოდ ნიჭიერი მწერალი რომანისა. რამდენისამე წლის განმავლობაში იბსენი მეთაური იყო ახალის საფსიხოლოგიო მოძღვრებისა და იმის დრამებს დიდი წარმატება ჰქონდა გერმანიაში. ის-კი მაინც არ ითქმის, რომ ვითომ იბსენი დიდი პოეტი იყოს. იმის ნაწერებში პოეზია ნაკლებად არის. ეს პიესები, ცოტა არ იყოს, მოსაწყენიცაა და სავსე სამეცნიერო მსჯელობა-საუბარით. იმის დრამას რომ ყურს ვუგდებ თეატრში, ასე მგონია, უნივერსიტეტში ვარ და რომელისამე მეცნიერ პროფესორის ლექციას ვისმენო. იბსენი გამბედავია და ისეთს მასალას იღებს სადრამოდ, რომლის აღებასაც სხვა ვერ გაჰბედავდა. ყველა თავის დრამაში დაურიდებლად გვიხატავს თვალ-წინ ეხლანდელის ცხოვრების ყოველ გვარ ნაკლულევანებას და სცდილობს, რომ თითოეულმა დრამამ რომელიმე ფსიხოლოგიური საგანი გადასწყვიტოს, ანუ რომელიმე საიდუმლოება ფსიხოლოგიისა გაარკვიოს. იბსენი მეტად სასტიკი გამკითხველია ეხლანდელ კაცთა ყოველ გვარ ბიწიერებისა და ნაკლულევანებისა, მაგრამ წამალი-კი ვერა უჩვენებია-რა, რით უნდა განიკურნოს ასე მრავალის ცოდვით დამძიმებული ადამიანი. ამიტომ მომეტებული ნაწილი გონება წარმატებულის საზოგადოებისა არ არის იმის დრამების მადლიერი. იბსენი უფრო კრიტიკოსია, ვიდრე მოძღვარი, და იმის დრამებს საზოგადო მნიშვნელობა უფრო აქვს, ვიდრე სალიტერატურო. როგორც ბევრ სხვა მწერალს დასავლეთ ევროპისას, იბსენსაც ბავშობად მიაჩნია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ (L'art pour l'art) და მუდამ სახეში ისა აქვს, რომ გამოარკვიოს რომელიმე საგანი საზოგადოების ზნეობისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, უზნეობისა. რამდენისამე წლის განმავლობაში იბსენმა დაურიდებლად გამოააშკარავა ყოველივე სატკივარი და წყლული თავის ერისა, გამოამჟღავნა გარეგანის მართებულობისა და თავაზიანობით დაფარული სიცრუე ორპირობა, უზრდელ-უწვრთელობა. მისმა ამ გვარმა მოღვაწეობამ დიდი ამბავი მოახდინა, არა მარტო ნორვეგიაში, არამედ მთელს სკანდინავიაშიაც. მტერი და მოწინააღმდეგე ბევრი გამოუჩნდა. ყოველ ამის გამო ამ ორისა თუ სამის წლის წინად მიატოვა ნორვეგია და გადასახლდა გერმანიაში, საცა დღეს გამუდმებით მიუნხენის ქალაქში სცხოვრობს და გარს ახვევიან თავისი გერმანელი თაყვანის მცემელნი.

ამ ბოლოს დროს იბსენს ისეთი დიდი სახელი აღარა აქვს, როგორიც პირველში ჰქონდა. არც საკვირველია. გერმანიაში თანდათან უფრო ვრცელდება ის აზრი, რომ ლიტერატურაში უიდეალებოდ არა იქნება-რაო.

ნორვეგიის მწერალნი რომანებისა დღემდე იბსენის მიმართულებას მისდევდნენ, ესე იგი, ნატურალიზმს, რომელსაც ხელი შეუწყო სკანდინავიაში სახელოვანმა დანიის კრიტიკოსმა ბრანდესმა სამოც-და-ათიან წლების დამდეგს. თითოეული მათ შორის სცდილობდა თავის ნაწერით თვალ-წინ წარმოედგინა მკითხველისათვის სწორედ ისეთი ცხოვრება, როგორსაც ნამდვილად ჰხედავდა, და თან არკვევდა რომელსამე საზნეობო საგანსა. ამით, რასაკვირველია, ამ მწერლებმა მცირედი ალიაქოთი არ ასტეხეს საზოგადოებაში. მკითხველნი ჯერ სახტად დარჩნენ და პირ კატა ეცათ, ეს ნამდვილი სურათები ცხოვრებისა რომ დაინახეს, მაგრამ შემდეგ, რაკი ამ სურათებში თავიანთი თავი იცნეს, მიეტანენ ახალის რომანების კითხვას, თუმცა ესაყვედურებოდნენ-კი ავტორებს, სწორე და მართალი არ არის მათ მიერ წარმოდგენილი სურათები ცხოვრებისაო. რომანების მწერალთ პირველად ლახტი დედაკაცებს მოუქნიეს. უნდა იცოდეთ, რომ დედაკაცი სკანდინავიისა დიდად ეტანებოდა ეს-

# ახალი ამბავი

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისის ხელოსნებს განუზრახავთ თავიანთის ხარჯით გამოსცენ უმაღლესად დამტკიცებული „სახელოსნო დებულება“ ქართულს ენაზედ, რადგან ხელოსანთა უმეტესობამ რუსული ენა არ იცის და ამის გამო რუსულად დაბეჭდილ „დებულებით“ ვერ უსარგებლნია. გაზეთებში თითქმის დღე ყოველ ისმის, რა დიდი უსიამოვნებაცა სწარმოებს ხელოსნებსა და სახელოსნო გამგეობას შორის. ხელოსნები სახელოსნო გამგეობას დიდად უჩივიან, უდიერად გვეპყრობა, ერთი ორად გვახდევინებს ყოველსავე ხარჯს და სხვანიო. ამ საჩივრების მიზეზი უმეტეს შემთხვევაში ის არის, რომ ხელოსნებმა თავიანთი უფლება არ იციან და არც ისა აქვთ კარგად შეგნებული, რა უფლება აქვს მათდა მომართ მინიჭებული თვით სახელოსნო გამგეობას. ამიტომ დიდად სასიამოვნოა, რომ მოუფიქრებიათ და განუზრახავთ „სახელოსნო დებულების“ გადათარგმნა ქართულს ენაზედ, რომ ეს სასარგებლო ცნობები საყოველთაოდ გაავრცელონ. ეს „დებულება“, როგორც გვითხრეს, თითქმის გადათარგმნილიც არის და მის ბეჭდვასაც მალე შეუდგებიან. „სახელოსნო დებულება“ თავში დართული ექმნება თვით მთარგმნელის წინასიტყვაობა ტფილისის ხელოსნებისა და ამქრებ შესახებ.

*** მხნე და დაუღალავმა ფორკატმ ერთი ფეერია უკვე გამართა— „Иванъ Царевичъ“-ი და დიდ-ძალი საზოგადოებაც მიიზიდა ამ მართლა მშვენიერად მოწყობილ ფეერიის სანახავად. შვიდჯერ თუ რვაჯერ წარმოადგინეს ეს ფეერია და რვაჯერვე მაყურებელი არ დაჰკლებია, თუმცა ეს რუსული არაკი კავკასიელთათვის იმდენად კარგად გასაგები და გულმოსახვედრი არ იყო. ეხლა კიდევ შესდგომია ახალის ფეერის მზადებას. ამ ფეერიას ეწოდება „1001 ღამე, ანუ არაბული არაკები შეჰერაზადასი“ და 4 მოქმედებადა და 7 სურათად იქმნება. ამ ფეერიისთვის, გამმართველის სიტყვით, ორასი თუმანი ხარჯი დასჭირებია, მონაწილეობას იღებს, დასს გარდა, 150 კაცი და, თქმა არ უნდა, უფრო გასაგები და სასიამოვნო უნდა იყოს ტფილისის მკვიდრთათვის, რადგან აღმოსავლეთის ცხოვრებიდგან არის აღებული. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ დასს აცდენს ფორკატი ამ ჟამად და ფეერიებს უნდება, მაშინ-როდესაც საფეერიო დრო სწორედ დიდ-მარხვაა, როცა წარმოდგენები ისე ხშირად არ იმართება, თუმცა ისიც არის სათქმელი, რომ ამ „Ивачъ Царевичъ“-ის წყალობით მოითქვა სული და დრამებით გულ-აცრუებული საზოგადოება ამ ფეერით წამოახალისა.

*** ფორკატის დასს-კი მაგდენად არა უჭირს რა, მაგრამ ტფილისის ცირკი ჩვენში ხეირს რომ ვერა ჰნახავს, ეს აშკარაა. გუშინ-წინ, მაგალითებრ, ორშაბათს, 11 თებერვალს, ამ ცირკში სულ თორმეტი მანეთი იყო შემოსავალი, მაშინ-როდესაც მარტო გაზი თხუთმეტი მანეთი ულირს დირექციას. თუ სანთლის ხარჯს ვერ გასძლოლია შემოსავალი, მაშ მოთამაშეებს, ცხენების შენახვას, მოსამსახურეების ქირას და სხვა ათასს ხარჯს რა ეშმაკით უნდა გაუძლევს, არ გვესმის. ერთად-ერთი კვირადღესასაული დღეებია, როცა ცირკს მდაბიო ხალხი ეტანება, თუმცა არა ისე ბლომად, როგორც ამ რამდენიმე წლის წინად იყო. ასეთის გულაცრუების მიზეზი ის თუა, რომ წრევანდელს ცირკში იმდენად თვალსაჩინო არტისტები არ არიან მოწვეულნი, თითო-ოროლას გარდა. როგორც შევიტყეთ, ქ-ნს ფიურერს განუზრახავს ან ახალი არტისტები მოიწვიოს და ტფილისში დარჩეს და ან, თუ ეს ვერ მოახერხა, ყველივერებ შემდეგ ბაქოში გადავიდეს და იქა ჰმართოს წარმოდგენები.

*** დღეს გაზ. „Кавказъ“-ში გამოთვლილია, რამდენს ხორცს უნდა ჰხარჯავდეს წელიწადში ჩვენი ქალაქი. გაზეთი ამის გამოსარკვევად ოფიციალურს ცნობებს ჰხმარობს, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ტფილისში თითქმის ერთი იმდენი საქონელი ჩუმად იხოცება, რამდენსაც ცხადად ჰხოცავენ. ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ შარშან დაუკლავთ ტფილისში 164,385 სული წვრილი და სხვილი საქონელი და ამის ხარჯად ქალაქის კასსაში 33,590 მან. შეუტანიათ. ყოველი სხვილი საქონელი რომ 6 ფუთი ვიანგარიშოთ, ღორი 2 ფუთი, ცხვარი 1 ფუთი და სხვ., გამოდის, რომ შარშან სულ დახარჯულა 14,866,720 გირვანქა ხორცი. ტფილისის მკვიდრთა რიცხვი რომ 120,000 ჩავთვალოთ, მაშინ ანგარიშით კაცის თავზედ დღეში $1/3$ გირ. ხორცი მოვა.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ტფილისში ამბავი მოსულა, რომ მმართებლობის სენატმა გაარჩია საჩივარი ქალაქის საბჭოსი, რომელიც სჩიოდა, რომ 1877 წლიდგან 1884 წლამდე სასახლის დასაფასებელი ხარჯი 41,185 მან. გვერგება და ჯარიმითურთ-კი 72,000 მანეთამდე და გთხოვთ მოგვისაჯოთო. სენატმა გადასწყვიტა, რომ ეს ფული უნდა მიეცეს ქალაქის საბჭოსაო.

*** როგორც ჩვენმა მკითხველებმაც უწყიან, კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ტაინი სოვეტნიკი მ. ნ. კუჩაევი თავს ანებებს თავისს თანამდებობას და პეტერბურგში გადადის საცხოვრებლად. ეხლა გაზ. „Нов. Обоз.“-ას ნამდვილად შეუტყვია, რომ ამ საბჭოში ბ-ნ კუჩაევის ადგილას ინიშნება თავმჯდომარე კავკასიის საცენზურო კომიტეტისა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი კ. ვ. იაკიმოვი, ხოლო იაკიმოვის თანამდებობაზედ-კი დაინიშნება მთავარ-მართებლის საგანგებო საქმეთა მოხელე დ. ს. ს. მ. პ. გაკკელიო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, განუზრახავთ ის შენობა, სადაც ამ ჟამად მართლ მადიდებელთა სემინარიაა მოთავსებული, გაჰყიდონ და სასემინარიოდ ახალი შენობა ააგონ ქალაქის განაპირას სადმე. სემინარიის ეხლანდელ შენობის ყიდვა უნდა თურმე ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას, უნდა გადააკეთოს და შიგ მოათავსოს ტფილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობა, ფოსტისა და ტელეგრაფის კანტორები და ყველა მოხელესათვის სადგომები.

*** 11 ამ თვისას, ნაშუადღევის მესამე საათზე, დიდუბეში დაიწვა სარაია ფერშლად სამყოფის გრიგოლ გაგლოევისა. სარაიაში ახალი სახლის ასაგები მასალა ეწყო. გაგლოევის ნათესავს, 10 წლის ბავშვს, ცეცხლი დაენთო, ქარს ნაპერწკალი გადაეგდო, სარაიას მოხვედროდა და ცეცხლი გაჩენილიყო. ზარალი სამას მანეთამდეა.

## ქალაქის საბჭო

11 თებერვალი

ორშაბათის კრებაზე ქალაქის თავმა წინადადება მისცა საბჭოს, რომ ამორჩეულ იქმნას კომისია, რომელმაც უნდა მოელაპარაკოს ბ-ნ სტრუვეს სატივოს შესახებაო. საქმე იმაშია, რომ ვერის სატივო ქალაქს გამართული აქვს სტრუვესა და სხვების მამულზე. მემამულემ საჩივარი აუტეხა ქალაქს, რომ ან იყიდე ჩემი მიწა მტკვრის პირას, ან მოშალე სატივო და მომეცი ის ქირა, რომელიც მერგება წინა წლების უსასყიდლო ხმარებისაო. ეს საქმე პალატამ ისე გადასწყვიტა, რომ მიწა მართლა სტრუვესი ყოფილა და ქალაქს არ შეუძლიან მისი უსასყიდლოდ ხმარებაო. ქალაქი აპირობს სენატში გადიტანოს თავისი საჩივარი. ხოლო ვიდრე სენატი განაჩენს რასმე დაადგენდეს, ბ-ნი სტრუვე სწერს ქალაქის საბჭოს—განმითავისუფლე ადგილი ნებით, თორემ კანონის ძალით ბოქაულს გავაზიდვინებ ტივებსა და მერე მტკვრის პირს კედელს გავავლებ, რადგან ჩემი მიწა ჩემთვის მინდაო. ეხლა კომისიის დანიშნულება ის არისო, მოახსენა ქალაქის თავმა, რომ როგორმე მორიგება მოახდინოს სტრუვესა და ქალაქს შორის დროებით, ვიდრე სენატი გადასწყვეტდეს საქმესაო, თორემ სტრუვეს შეუძლიან დაგვაცლევინოს ადგილი და ქალაქს მოაკლდება ის შემოსავალი, რომელსაც ეხლა სატივო გვაძლევსო.

ხმ. ნიკოლაძე. დროებით მორიგება თვით ქალაქის გამგეობასაც შეუძლიან და ამისთვის საჭიროდ არ მიმაჩნია კომისიის არჩევა. ჩემის აზრით, კომისია მაგ განზრახვით-კი არ უნდა ავარჩიოთ, არამედ იმითა, რომ შეისწავლოს ვითარება საქმისა, განიხილოს, მოსალოდნელია, რომ სენატმა შეიწყნაროს ჩვენი კასაცია თუ არა. თუნდა შეიწყნაროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეგ საქმე ხელ-მეორედ დაინიშნება ტფილისისავე პალატაში. გარდა ამისა კომისიამ ისიც უნდა გაარკვიოს, რამდენად შესაძლებელია, რომ სამინისტრომ კვლავაც მოგვცეს ნება ტივის ფულის აღებისა, თუ ამას იქით აღგვიკრძალავს ამ ხარჯს. თუ კომისია დაინახავს, რომ სამინისტროსაგან აღარ უნდა გვქონდეს იმედი ამ ხარჯის აკრებისა, მაშინ რა საჭირო იქნება ან მორიგება სტრუვესთან, ან სენატში კასაციის გადატანა.

საბჭომ მიიღო წინადადება ნიკოლაძესი და ამ აზრით აარჩია ხუთი წევრი კომისიისა ხმ. ზუბალოვი, ნიკოლაძე, ევისენგოფი, ევანგულოვი და დ. ზ. ყორღანოვი.

ამას შემდეგ საბჭოს უნდა ამოერჩია საბალნეოლოგიო კომისია შესახებ აბანოების შეძენისა, მაგრამ ხმოსანმა ზუბალოვმა სთქვა, რომ უსაჭიროეს საგნად მიმაჩნია განვიხილოთ წინადადება ბ-ნ ვასილიევისა ნიხრის აღდგენის შესახებო. კრება დასთანხმდა და ხმ. ვასილიევმა გადასცა მდივანს დაწერილი მოხსენება ამ საგნის თაობაზე. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ შარშან საბჭომ ხორაგეულობის ნიხრი მოსპო და იმედი ჰქონდა, რომ ფასები დაიწევს, რადგან ვაჭრები ერთი-ერთმანეთს ქიშპობას დაუწყებენო, მაგრამ ჩვენა ვხედავთ, რომ, ქიშპობას-კი არა, ყასბებმა და მეფურნეებმა შეჰკრეს პირი და ფასები ისე ასწიეს, რომ დღეს გირვანქა ხორცი 8 კაპეიკიდგან ორ შაურამდე ავიდა, ცხვრის ხორცი 12 კაპეიკამდე, პური $3^1/_2$ კაპეიკამდე და სხვანი. ამქრობაა მათ შორის და რასაც უნდათ, იმასა სჩადიან. დასამტკიცებლად იმისა, რომ ხორაგეულობას ძალიან აძვირებენ, საკმარისია ვიცოდეთ, რომ მარკიტანტები ჯარებს ხორცს აძლევენ 6 კაპეიკად, იუნკრების სასწავლებელს 7 კაპ. და სხვანი. ამასთანავე უნდა სახეში ვიქონიოთ, რომ ტფილისს ახლო მახლო გირვანქა ხორცი იყიდება შაურად. ამის გამო საჭიროა კვლავ აღვადგინოთ ნიხრიო.

ხმ. მ. ი. თამამშოვი. მე სრულიად ვეთანხმები ხმ. ვასილიევს. ამქრებმა ხელში ჩაიგდეს ვაჭრობა და არავის შეუძლიან მათ წინააღმდეგ ფასების დაკლება. ნიხრი შემოღებულ უნდა იქმნას აუცილებლივ, მაგრამ ისე-კი აღარ უნდა წესდებოდეს ფასები, როგორც წინადა ჰმოქმედობდა გამგეობა, ე. ი. გამგეობა-კი არა, ის ყოვლად შემძლებელი ნაცვალი, რომლის ხელშიაც იყო ფასების გაწერა. ის ყოვლად ცნობილი ნაცვალი წარუდგენდა ხოლმე ფასებს და გამგეობაც იმის კარნახითა და იმის ბძანებით აცხადებდა ფასებს. ერთ მშვენიერ დღეს-კი შეიტყო გამგეობამ, რომ ნაცვალს მხარი ეჭირა ყასბებისა და ხელსაც ითბობდა. შემდეგ თვით გამგეობის აგენტებმა აღმოაჩინეს, რომ ამ საქმეში ბევრსა მუშაობდა ქრთამი, და გამგეობამ მხოლოდ მაშინ გაახილა თვალი და გადასწყვიტა ნიხრის მოსპობა, რომ ამით ქრთამის წყაროც მოესპო. მაგრამ ძნელი ის არის, რომ ეხლა კიდევ მთელი ქალაქი ჩავარდა ვაჭრების ხელში.

---

რედ წოდებულს ემანსიპაციას. ემანსიპაციის სურვილით გატაცებულთ მეტის-მეტი მოინდომეს და მით გამოიყვანეს მოთმინებიდამ მამაკაცი. ამის გამო ასტყდა გაცხარებული ბრძოლა მწერლობასა და ლიტერატურაში. მამაკაცების საყვედურს მწერლობით მოჰყვა მწერლობითვე საყვედური დედაკაცებისა. პირველთ უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ დედაკაცი, რაც უნდა მაღალი და საფუძვლიანი განათლება ჰქონდეს, მაინც გონებისა და ზნეობის ძალით ვერ შეედრება მამაკაცსაო. დედაკაცნი-კი ამტკიცებდნენ, რომ ბუნებამ ჩვენც ისეთივე ნიჭი მოგვცა გონებისა და ისეთივე ძალა ზნეობისა, როგორიც მამაკაცებსაო. ბრძოლა-კამათობაში მოპირისპირენი არა ჰზოგავდნენ ერთმანეთს და ბევრი უსიამოვნო გასაგონიც გაიგონეს ერთი-ერთმანეთისაგან. ბოლოს-კი ისევ მორიგდნენ, როგორც იყო, და ცხოვრება ნორვეგიისა არაფრით არ შეცვლილა. დედაკაც-მამაკაცნი ისევე წინანდებურად ცხოვრობენ და მათს ბრძოლას არავითარი საიმისო შედეგი არა მოჰყოლია-რა, თუმცა-კი, როგორც ამბობენ, ემანსიპაციის დიდი მომხრენი ახლა ცოტა ფრთებ მოკვეცილნი არიან.

მეორე ბრძოლა ასტყდა იმის გამო, რომ ინტელიგენციამ მოინდომა ბატონობა მცირედ-განათლებულებისა. ქვეყანამ იცის, რომ სკანდინაველებს ეს უბედურება სჭირთ: რაკი მიიღებენ განათლებას, აქაო და განათლებულნი ვართო, ცხვირი მაღლა მიაქვთ და აღარავის არა კადრულობენ. ის მწერალნი, რომელთაც ვერ მოიშორეს თავიდამ ასეთი ხასიათი და თვისება, გაცხარებით ამტკიცებდნენ, რომ ყოველი ბოროტება ჩვენის საზოგადო და საპოლიტიკო ცხოვრებისა მცირედ და ნაკლებად განათლებულთა ბრალიაო, ეგე იგი, იმათი ბრალი ისეა, რომ მეტის-მეტად დიდი მონაწილეობა აქვთ მიღებული ჩვენს საზოგადო ცხოვრებაშიო. აზრი ასეთის მწერლებისა ცხადი იყო: ჩვენ, ინტელიგენციას, უნდა გვქონდეს ჩვენს ხელში ყოველი საზოგადო საქმეო. მაგრამ ეს აზრი არ განხორციელდა. ამ ინტელიგენციამ, რომელსაც ასე უნდოდა მეთაურობა და ბატონობა, ამ ბატონობისათვის ატეხილს ბრძოლაში ბევრი გვარი ნაკლულევანება გამოაჩინა. აი ამისთანა ამბებს აქცევდნენ უმთავრესს ყურადღებას ამ ბოლოს დრომდე ნორვეგიის მწერალნი რომანებისა. არა მგონია, რომ ერთს მათს ასეთის შინაარსის ნაწერს ჰქონდეს კიდევ მნიშვნელობა 10—12 წლის შემდეგ. უნდა-კი სთქვას კაცმა, რომ მათ შორის ბევრი ნიჭიერი, ჰკვიანი დამკვირვებელი ცხოვრებისა და ხელოვანი პსიხოლოგი ურევია. ასეთები არიან, მაგალითად, ბიერნსონი (Björnson), ლიე (Lie) და გარებორგი (Gorebarg). სახანური მხოლოდ ის არის რომ ამისთანა ნიჭიერი მწერალნი თავიანთ ნიჭსა და მოცალეობას ისეთის საგნების გარკვევას ანდომებდნენ, რომელთა გარკვევა და გაჩხრეკაც შეეძლოთ გულ-დამშვიდებით მიენდოთ ჟურნალისტებისათვის. მართალია, ესენი თავიანთ ნაწერებში ნამდვილ, ხორც-შესხმულ ადამიანებს ჰხატავდნენ, სამსახურიც მცირედი არ მიუძღვისთ საზოგადოების წინაშე, რადგან თვალები აუხილეს და ბევრი რამ ავი და ბიწიერი მისივე თვისება და ხასიათი დაანახვეს, მაგრამ რა საგნის გადაწყვეტაც განიზრახეს, ის-კი უპასუხო და გაურკვეველი დარჩათ. ეს არის უმთავრესი ნაკლულევანება მათის სალიტერატურო მოღვაწეობისა. კაცობრიობა მარტო კრიტიკოსობას-კი არა თხოულობს პოეტებისაგან, არამედ ხელმძღვანელობას, წინამძღვარობას, იმ გზის ჩვენებას, რომლითაც კაცი განკარგდება, ადამიანად იქცევა, კაცურ კაცობას იძენს. სკანდინავიის მწერალნიც მიხვდნენ ბოლოს ამასა და დღეს ნორვეგიასა და დანიაშიაც იმასა ვხედავთ, რაც გერმანიაშია: მწერალნი იდეალების ძებნაში არიან. ახალი პოეტები სკანდინავიისა ამბობენ, რომ საჭიროა მივატოვოთ გარეგანი აღწერა ცხოვრებისა და იმის მაგიერ ჩავუკვირდეთ შინაგანს ცხოვრებას ადამიანისას, მის სულსა და გულსაო. ერთის სიტყვით, ახლა უნდათ შემოიღონ ლიტერატურაში ინდივიდუალიზმი და მოსძებნონ გზა თითოეულის კერძო კაცის ზნეობრივის წარმატებისა. მაშასადამე, იმათი აზრი და საგანია ახლა, განავრცელონ და განაძლიერონ ყოველივე გრძნობა და პრინციპი კაცთ მოყვარეობისა, ადამიანობისა, და ამას ხომ გონიერული იდეალიზმი მოსდევს.

ა. ლ.

(დასასრული იქნება)

ხმ. კანგულოვი. მე უფრო ის მაკვირვებს, რომ ბ-ნი თამამშოვი, ასეთი მცოდნე კაცი, მომხრეა ნიხრის აღდგენისა. ნიხრი ძველი დაწესებულებაა. ევროპამ დიდი ხანია განითავისუფლა მისგან თავი და დღეს ჩვენი გამგეობა მადლობის ღირსია, რომ ზურგი შეუქცია მაგ ძველის-ძველ ხავს-მოკიდებულ დაწესებულებას. მეცნიერებაში ყველასაგან მიღებულია, რომ თავისუფალ აღებ-მიცემობას არა შეედრება-რა. ბ-ნი ვასილიევი ამბობს, რომ ამქრობას უნდა ვეომოთ, ამქრობა აჭირებს საქმეს და ყველაფერს გვიძვირებსო. არა, ამქრობა ჩვენში ჩინებული დაწესებულება იყო, მაგრამ იგი, საუბედუროდ, გაუქმდა შემდეგ 1865 წლისა, როდესაც შემოღებულ იქმნა ჩვენში რუსეთის სახელოსნო წეს-წყობილება. ნიხრის შემომღებელთ უნდა ციფრებით დაგვანახვონ ნამდვილი ვითარება საქმისა, უნდა იცოდნენ, რამდენი საქონელი შემოდის ქალაქში, საიდამ მოჰყავთ საკლავი, წრევანდელმა ზამთარმა შეავიწროა თუ არა საქონლის მორეკა რუსეთიდამ, საიდამაც, როგორც იცით, ფოსტაც-კი მთელი ორი კვირა ვერ მოდიოდა ტფილისში. აი მაშინა ვნახავდით, ძალად არის აწეული ფასები, თუ ზამთრის გამო საკლავი ცოტა შემოდის ტფილისში, საქონელი გაძვირდა და ამის გამო ძალა-უნებურად ხორციც უნდა გაძვირებულიყო! სანამ ასეთი ციფრები არ იქნება წარმოდგენილი, მანამ ცარიელი მასლაათია ჩვენი ლაპარაკი. ჩემის აზრით, ნიხრის შემოღება არას შუაშია, მანამ ჩვენ არ გავმართავთ საზოგადო საყასბოებსა და ფურნებს და ამით არ დავწევთ ფასებს.

ხმ. მ. გ. მაჩაბელი. ჩვენში, მაგალითად, ხორცის ვაჭრობა ასეა დაყენებული: ყასაბმა ორი თუმანი რომ იშოვნოს, იყიდის საკლავს და იმავე დღეს გაჰყიდის, თანაც ისე, რომ ორ თუმანზე ორ მანათს მაინც ამოიღებს და ამ სახით ერთ თუმანზე წლიწადში 365 მანათს მარტო ზოგებას ჩაიდებს ჯიბეში. დამეთანხმებით, რომ ეს საშინელი პროცენტია. იმდენი მაინც რომ ეკადოს ქალაქის საბჭო, რომ ნახევარზე მაინც ძირს დასცეს ასეთი ძარცვა მოქალაქეთა, ისიც დიდი საქმეა, და ამის მოხერხება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ნიხრს აღვადგენთ და თვით ნიხრის შესადგენად ავარჩევთ კომიტეტს, რომელიც უნდა შესდგებოდეს სამის ხმოსნისაგან მაინც და თავმჯდომარედ ჰყავდეს ერთი გამგეობის წევრთაგანი. ამ კომიტეტს შეუძლიან მოიწვიოს ხოლმე ქალაქის ბაზრების მცოდნე და დარბაისელი კაცნი, რომელთა გამოცდილება ძალიან ძვირფასი იქმნება ფასების შედგენაში. შესაძლოა აგრეთვე მოიწვიონ ქალაქის აგენტები, რომლებმაც ჩინებულად იციან ქალაქის ავი და კარგი, საკლავის რაოდენობა და სხვ.

ხმ. ნიკოლაძე. მე დიდი იმედი მაქვს ნიხრის აღდგენისა. ყველაზე უკეთესი იქნებოდა, რომ ჩვენი დუქნები დაგვემართა, მაგრამ რადგან ჯერ ამის მოხერხება საძნელოა ჩვენთვის, ამიტომ ისევ ნიხრი დავაწესოთ, რომ ცოტათი მაინც ავლაგმოთ ვაჭრები. ხმ. ევანგულოვი ამბობს, რომ ციფრები არა გვაქვს და როგორ შეიძლება დაძველებული დაწესებულება კვლავ აღვადგინოთო. მართალია, ციფრები ბევრი არა გვაქვს, მაგრამ ერთი ციფრი, რომელიც წარმოადგინა ვასილიევმა, ისეთი საყურადღებოა, რომ სხვა ციფრები არც-კი-ღა გვინდა. ეგ ის ციფრია, რომ მარკიტანებში 6 კაპიკადა ჰყიდიან ჯარებში ხორცსა და მოქალაქენი-კი 9—10 კაპეიკს იხდიანო.

ხმ. მიქელაძე. არც ისრე უციფრონი გახლავართ, როგორც ხმ. ევანგულოვსა ჰგონია. აი თვით გამგეობის წიგნებიდამ ამოღებული ციფრები: 1887 წელს თებერვალში გირვანქა ხორცი იყიდებოდა 8 კაპ., 1888 წელს თებერვალში გირვანქა ხორცი იყიდებოდა 8 კაპ., 1889 წ., როდესაც საშინელი ზამთარი იყო კავკასიაში, იმავ თთვეში იყიდებოდა 9 კაპ., 1890 წელს თებერვალშივე—8 კაპ., წელს-კი 10 კაპ., ხოლო ცხვრის ხორცი 12 კაპ. კიდევ გნებავთ ციფრები? მოგართმევთ. 1887 წელს თებერვალში საკლავი მოჰყავდათ დღეში 40 და 45 სული, 1888 წელს 70 და 75, 1889 წელს—35 და 50, 1890 წელს-80 და 90, ხოლო წელს 1 თებერვლიდამ დღეში შემოდის 110 და მეტი სული. მაშასადამე, წელს უფრო ბლომად შემოდის საკლავი. ახლა ფასები აიღეთ. წინა წლებში დაბალი საკლავი იყიდებოდა 24 მანეთად, კაი ჯიშისა—55 მან., წელს-კი დაბალი იყიდება 16 მან., ხოლო კაი ჯიშისა 55 მან.

ხმ. ქ. ა. ყურმიშოვი. აქა ლაპარაკობენ, რომ ნიხრი დაძველებული საქმეა. არა უშავს-რაო, ზოგი ძველი ახალსა სჯობია. მერე აბა რა ჩვენი საქმეა მოდებს მივდევდეთ! უნიხროდ ვერას გავაწყობთ ვაჭრებთან, თუმცა-კი ემჯობინებოდა, რომ საკუთარი დუქნები გაემართა ქალაქსა და ძირს დაეწია ფასები.

ხმ. ჩოლოყაშვილი. მართალია, ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით, რომ ნიხრი გავაუქმეთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ თვით პარიჟში ამას წინად აღძრული იყო საქმე ნიხრის შემოღებისა. იქაურს სინდიკატებს პირი აქვთ შეკრული და ერთ ფასად ჰყიდიან საქონელს. ერთხელ მარსელში ერთმა მებულკემ იაფად გამოაცხადა ფასები, სინდიკატმა ფული გამოიღო, გვერდზე გაუმართეს საბულკე და იმაზე უფრო იაფად დაიწყეს გაყიდვა, მანამ სულ არ გააკოტრეს მოწინააღმდეგე მებულკე, და მერე ისევ ასწიეს ფასები. სადა საფრანგეთში ვხედავთ ასეთ ამბავს, როდესაც იქ ყველას შიში და თავაზა აქვს წინაშე საზოგადოების აზრისა, რაღ უნდა გვიკვირდეს, რომ ტფილისში ამქრობას პირი აქვს შეკრული?

წევრი გამგეობისა იზმაილოვი. მარტო ის გარემოება, რომ ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილში სხვა-და-სხვა ფასსა ვხედავთ, საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ყასბებს არა ჰქონიათ პირი შეკრული ერთმანეთში. რაც შეეხება ციფრების მნიშვნელობას, თითონ ხმ. თამამშოვმა თავიდამვე ისე ილაპარაკა, რომ ეგ ციფრები ნაცვალს მოჰქონდა გამგეობაში და ამიტომ სარწმუნო არ არისო. მაშასადამე, ჩვენ ჯერ არა გვაქვს საკმარისი საბუთი, რომ უეჭველად გავაუქმოთ შარშანდელი გადაწყვეტილება საბჭოსი და კვლავ შემოვიღოთ ნიხრი.

ხმ. იოსისიანი. ექსპერიმენტები საზოგადოების ცხოვრებაში არსად არ გამომდგარა. იმ დღეს მოვსპეთ ნიხრი, ეხლა ისევ შემოვიღოთ, რას ეგვანება! ჯერ მოიცადეთ, პატარა ხანმა გაიაროს და მერე ვნახოთ.

ხმ. ბაქრაძე. ტყუილადა ჰფიქრობთ, რომ ტფილისში ნიხრი მოსპობილია. სულაც არა. ნიხრი კვლავ არის, მხოლოდ ნიხრს ამტკიცებს, გამგეობა-კი არა, არამედ აქაური ამქრობა. გამგეობამ ეს საქმე გაუშვა ხელიდამ და გადასცა თავისი მოვალეობა ვაჭრებს.

ხმ. ი. გ. მაჩაბელი. ხმ. ევანგულოვი ამბობს, რომ ნიხრი სიძველის გამო უნდა გადავაგდოთო და მადლობა გამოვუცხადოთ გამგეობას, რომ შარშანვე მოგვაშორა თავიდამ ნიხრიო. მიკვირს, მაშ რაღად აქებს ძველებურ ამქრობას და რად იწუნებს სახელოსნო წეს-წყობილებას, რომელმაც გააუქმა ძველი ამქრობა! იძახის: ციფრებით მელაპარაკეთო და თითონ-კი ერთი ციფრიც არ დაუსახელებია ნიხრის გადაგდებისათვის!

ხმ. სუნდუკიანცი. მე მომხრე ვარ თავისუფალ ვაჭრობისა, მაგრამ როდესაც მთელი ქალაქი ჩივის და ითხოვს ნიხრის აღდგენას, მე გთხოვთ შევიწყნაროთ ხალხის სურვილი და კვლავ აღვადგინოთ ნიხრი.

ხმის უმეტესობით საბჭომ დაადგინა ნიხრის აღდგენა და, თანხმად მ. ვ. მაჩაბლის წინადადებისა, ამოირჩია კომიტეტი, რომელშიც მოჰყვნენ ხმოსნები მ. ვ. მაჩაბელი, ბუდღანოვი და ნ. ს. ფრიდონოვი. კრება დაიშალა 11 საათზე.

## რუსეთი

ქალაქს ელცში, როგორც ამბობს გაზეთი „Гражданинъ“-ი, იქაურს სასამართლოში ამას წინად ერთი მეტის მეტად ახირებული უწესოება მომხდარა. აი საქმე როგორ ყოფილა. სასამართლოში ირჩეოდა ვინმე აფანასიევის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა ორის დედაკაცის გალახვისა. ბრალდებულის ბრალი დამტკიცდა და მოსამართლემ აფანასიევს თთვე ნახევრით დატყვევება გადაუწყვიტა. მოსამართლეს არც-კი გაეთავებინა განაჩენის წაკითხვა, რომ ბრალდებულმა რაც ძალა და ღონე ჰქონდა დაიყვირა: „ძალიან იაფად დააფასა ჩემი დანაშაული ბ-ნმა მსაჯულმაო“. სთქვა თუ არა ეს, გაშალა ხელი და ჯერ ერთს მომჩივანს გააწნა ლაზათიანი სილა და მერე მეორეს. ესეც არ იკმარა და სანამ სხვები ჩაერივნენ საქმეში და შეაკავებდნენ ამ წესიერს ადგილზე უწესოების ჩამდენს, მანამ აფანასიევმა ორივე მომჩივანი მიჰბეგვა.

— სამარის მაზრის სოფელ ბეზენჩუკში, როგორც „Самар. Газета“ ამბობს, ამას წინად ერთი უბედურება დატრიალებულა. ერთს გლეხს ბეღლიდამ ხორბალს თურმე ჰპარავდნენ, ვერ იქნა და ვერა, გუმანი ვერავისზე ვერ მიიტანეს. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ხორბალს ბეღლიდამ ბეღლის პატრონის შვილი იპარავდა ცოტ-ცოტაობით და ჰყიდდა. მამამ მიასწრო შვილს ქურდობაზედ და მეორე შვილის დახმარებით გაწვინა და გაწკეპლა. ეს სასტიკი სასჯელი თოთხმეტის წლის დამნაშავემ გულ-გრილად ვერ აიტანა, როცა უწყალოდ სწკეპლავდნენ, როგორც იყო გამოუსხლტა მამასა და ძმას ხელიდამ, აიღო დანა, რომელიც იქვე მაგიდაზე იდო და რამდენადაც ძალა შესწევდა დასცა მუცელში თავისს მწვალებელს მამას. ჭრილობა ისეთი მძიმეა თურმე, რომ ძნელად ეს გლეხი მორჩესო.

— პარიჟის გაზეთები ამბობენ, რომ რუსეთში მოსვლას აპირებს ქირარის თავმჯდომარეობით ოთხი ექსპედიცია, რომელთაც განზრახვა აქვთ გამოიკვლიონ და შეისწავლონ ეკონომიური მდგომარეობა რუსეთისაო.

— ხარკოვში ამ ჟამად ორი გერმანელი აფიცერია, რომელნიც იმ აზრით მოსულან რუსეთში, რომ პრაქტიკულად შეისწავლონ რუსული ლიტერატურული და მდაბიო ენა. ამავე აზრით ორი სხვა აფიცერი კიდევ ყაზანშია. ხოლო ხარკოვში გარდა გერმანელ აფიცრებისა ორი ინგლისელი აფიცერიცაა, რომელთაც ზედ-მიწევნით უნდათ შეისწავლონ რუსული ენა. როგორც ინგლისელ, ისე გერმანელ აფიცერთ მთავრობა დიდ-ძალ ხარჯს აძლევს. გერმანელ აფიცერთ ნაბრძანები აქვთ, რომ როგორმე რუსის ვანათლებულს ოჯახში იშოვონ ბინა, მაგრამ ეს აქამდე ვერ მოუხერხებიათ. როგორც „Южн. Край“ ამბობს, ოჯახში არავინ არ მიიღო თურმე ეს აფიცრები.

## წვრილი ამბები

„Недѣля“-ში მოყვანილია მეტად საყურადღებო ცნობები იმის შესახებ, თუ რა მოქმედება აქვთ ფერადს სულით ავადმყოფებზე და ჭკუა შეშლილებზე. იტალიის ქალაქ მილანში არის სამკურნალო სულით ავადმყოფებისა და ჭკუა-შეშლილებისათვის. იგი სამკურნალო მოთავსებულია ძველ ციხე-მონასტერში. აქ რამდენიმე ოთახი ძველადგანვეა დარჩენილი და ფანჯრებს ფერადი მინები უსხედს. ერთხელ იმ ოთახში, რომელსაც გარდის ფერი მინებიანი ფანჯრები აქვს, ჩასვეს დაღვრემილი, წარბ-გაუხსნელი მელანხოლიკი, სვდით სნეული. პირველ დღესვე შეატყო ამ სნეულს, რომ სვდიანობა და დაღვრემილობა თვალსაჩინოდ მოაკლდა. მეორე დღეს-კი სრულად გამხიარულდა, კარგს გუნებაზედ მოვიდა და დიდის მადით სადილიცა სჭამა, თუმცა წინად საჭმელს არ იკარებდა. სამკურნალოს დირექტორმა უფრო ათხოვა ამ ამბავს და სცდელად შესაფერი განკარგულება მოახდინა. ამან რამდენიმე ოთახი მოაწყო ისე, რომ თითო ცალკე ოთახს ჭერი, კედლები, მებელი და ყოველივე სახმარი ავეჯი და მორთულობა შეაღებინა ერთ რომელსამე მოჭარბულ ფერად და თითოეულ ოთახში დააბინავა სხვა-და-სხვა გვარი სულით ავადმყოფი. აღმოჩნდა, რომ ფერმა დიდი ზედ-მოქმედება იქონია ამ გვარ სნეულებზე. წითელი ფერი ამხნევებს, ახალისებს თურმე, ამიტომაც სულით დავრდომილებისა და დაჩაგრულებისათვის ეგ ფერი დიდად სასარგებლო გამოდგა. ლურჯი, ლაჟვარდი და მწვანე ფერი-კი აწყნარებს, ამშვიდებს, მერე ისე ძლიერ, რომ დასაბმელი გიჟები ლაჟვარდ ფერიან ოთახში ერთის დღის განმავლობაში სრულად დაწყნარდნენ და დამშვიდდნენო.

— როგორც ამას წინად დეპეშამ გვაცნობა, გერმანიის იმპერატორმა მხატვრის მაისონიეს გარდაცვალების გამო სამძიმრის წერილი მისწერა პარიჟის სამხატვრო აკადემიას, რომლის წევრადაც ირიცხებოდა გარდაცვალებული მხატვარი. აი შინაარსი იმ წერილისა, რომელიც საფრანგეთის ელჩმა ერბეტმა მიიღო გრაფის კაპრივისაგან და რომელიც წაკითხულ იქმნა პარიჟის სამხატვრო აკადემიის უკანასკნელს სხდომაზე: „ბერლინი, 14 თებერვალს (ჩვენებურად 2 თებერვალს) 1891 წ. იმპერატორმა და მეფემ, ჩემმა უავგუსტოესმა ხელმწიფემ დამავალა გაუწყო თქვენს აღმატებულებას, რომ მისმა უდიდებულესობამ დიდის მწუხარებით მიიღო ამბავი თქვენის თანამემამულის გამოჩენილის მეისონიეს გარდაცვალებისა. იმპერატორი აღტაცებული იყო ამ მხატვრის შესანიშნავის ნიჭით, რომელიც თავის საქმეს იმდენად გულ-მოდგინედ და კეთილ-სინიდისიერად ეკიდებოდა, რომ არც ერთს სურათს მანამ არ გამოუშვებდა თავის სახელოსნოდამ, სანამ სრულიად არ განაკარგებდა. მისი უდიდებულესობა მეისონიეს ყოველთვის სთვლიდა საფრანგეთისა და მთელის ქვეყნიერობის ხელოვნების სიქადულად და ამიტომ ასეთის სასახელო-სასიქადულო კაცის დაკარგვის გამო სულითა და გულით მონაწილეა იმის თანამემამულეთა მწუხარებისა. იმპერატორი მავალებს მე გთხოვო თქვენს აღმატებულებას, რომ ყოველივე ეს აცნობოთ პარიჟის სამხატვრო აკადემიას, რომელსაც შეუძლია თავი მოიწონოს იმითი, რომ მეისონიე იმის წევრად ითვლებოდა“.

— ჩვენს გაზეთში უკვე რამდენჯერმე იყო ნათქვამი, რომ მომავალს წელს შესრულდება 400 წ. მას აქედ, რაც ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინაო. ამ ჟამად ევროპისა და ამერიკის ქალაქები იმის მზადებასა და თადარიგში არიან, რომ რაც შეიძლება დიდის ზარითა და ზეიმით იდღესასწაულონ ეს ამბავი. თითოეული ქალაქი იმასა სცდილობს, რომ დიდებული დღესასწაული დიდებულად გადიხადოს და შესაფერი ფერი და იერი დასდოს. დღესასწაული გარდახდილ იქნება მადრიდსა, პალოსსა, სევილსა, გენუასა, რომსა, ნიუ-იორკსა, ჩიკაგოსა, პორტო-რიკოსა, ბუენოს-აირესისა და სხვა ქალაქებშიაც. უეჭველია ამ შემთხვევაში ხელ-ახლა ატყდება დავა იმის გამო თუ სად დაიბადა ეს დიდებული კაცი—კოლუმბი. კალველები დღესაც გაიძახიან, რომ კოლუმბი ჩვენში დაიბადაო, მაგრამ იმავე დროს გენუელები ამტკიცებენ, კოლუმბის სამშობლო ადგილი გენუ არისო. საკვირველია, რომ საფრანგეთის მთავრობამ აქამდე ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღო და აგრეთვე არც ის გადასწყვიტა, გაიმართოს თუ არა ამ შემთხვევისათვის პარიჟში დღესასწაული.

— ერთმა ამერიკელმა ქალმა ფრენჩ-მილდონმა გადასწყვიტა აჰყვეს გამოჩენილ მოგზაურთა მაგალითს და მოიაროს აფრიკის აღმოსავლეთის ნაწილი. ეს ცნობის მოყვარე მანდილოსანი ამ ჟამად ლონდონშია, საიდგანაც ჩქარა ნეაპოლში გაემგზავრება და იქიდამ-კი პირდაპირ აფრიკისაკენ გასწევს. ფრენჩ-მილდონის მოგზაურობას სამეცნიერო აზრი არა აქვს, მას მხოლოდ ამერიკის მკვიდრთა ზნე-ჩვეულებისა და ცხოვრება-ხასიათის შესწავლა და გამოკვლევა სურს, რის შესახებაც განზრახვა აქვს მთელი თხზულება დასწეროს. ბევრმა ამერიკელმა და ინგლისელმა ქალმა, აფიცერმა და სხვათა მრავალთა, რომელნიც ახირებულ შემთხვევათა მაძებარნი არიან, სთხოვეს ამ ქალს, გიახლებით თანაო, მაგრამ ყველამ უარი მიიღო. ფრენჩ-მილდონს მიჰყავს თან მხოლოდ ერთი ავადმყოფთა მომვლელი ქალი. ზანზიბარში ოთხმოც-დაათი ზანგსა და ზანგის ქალს დაიქირავებს დარაჯად და საგანგებოდ გაკეთებულის ეტლით გასწევს მომბასსისაკენ, ხოლო მომბასსიდამ განზრახვა აქვს წა-

ვიდეს და ქილიმა-ნჯაროს მთა დაათვალიეროს. ეს ქუდოსანზე არა ნაკლებ გამბედავი და თამამი მანდილოსანი იმოგზაურებს ქალის ტანისამოსით, თუმცა-კი მაღალყელიანი წაღები უნდა ატაროს და ორი რევოლვერიც იქონიოს თან.

— 30 იანვარს ვარსკვლავთ მრიცხველმა ბარლრუამ ნიცაში ახალი პლანეტა აღმოაჩინა.

## ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ.

საყინულეს გამართვა. ყველას მოეხსენება, რა სასიამოვნო სასმარებელია ზაფხულში ყინული. კარგი მაგრამ სად იშოვოს ადამიანმა, თუ საყინულე ახლოს არსად მოეპოვება. ბევრმა არ იცის, რომ შეიძლება იაფად გაიკეთოს საყინულე და ამ ზაფხულის სიამოვნებას არ მოაკლდეს. ყინული მშვენიერად სძლებს ნახერხსა, ჩალა-ბზესა და საზოგადოდ ყველა სითბოს ძნელად შემთვისებელ საგან ქვეშ. ვისაც საყინულეს გამართვა უნდა, შეუძლიან ასე ადლოს, ან ადლ ნახევარზედ ნახერხი, ან ჩალა-ბზე დაჭყაროს, შემდეგ ყინული დააწყოს, ჭილობი გადააფაროს და კვლავ ადლსა, ან ადლ ნახევარზედ ზემოდგან იგივე ნახერხი და ჩალა-ბზე დააყაროს, განსაკუთრებით სამხრეთის მხრით, ეს ყინულის შესანახი მასალა არა ფუჭდება და რამდენსამე წელიწადსა სძლებს, ყინული ზაფხულში ამოღების დროს ჩრდილოეთის მხრით უნდა ამოიღონ ხოლმე.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

„წიგნების ბეჭდვის ქართველთა ამხანაგობის“ გამგეობამ დ. ზუბალოვისაგან მიიღო 30 მან. და მასთან შემდეგი წერილი:

„ქართველთა ამხანაგობის გამგეობას გიგზავნით რა 30 მანეთს, გთხოვთ ერთი მეათე წინამძღვრიანთ სკოლის სასხელობაზედ იქონიოთ (დანარჩენ 20 მ. ვეცდებით მალე გამოგიგზავნოთ). ვინიცობაა ლიკვიდაცია მოახდინოთ ოდესმე, ეს ფული გარდაეცით წინამძღვრიანთკარის სკოლას. ივ. ტოგონიძე, ვ. მურადოვი, აშ. გოდერძიშვილი და ვასილ ჭიჭინაძე“.

თანხმად წერილისა, ამხანაგობამ გაუგზავნა ბ-ნი ილ. წინამძღვრიშვილს, სკოლის დამფუძნებელს, ბარათი სკოლის სახელობაზედ.

ამხანაგობის გამგეობა

# ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

12 თებერვალი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. „Новое Время“ს გაუგონია, რომ რადგან შემოდგომობით კომისიებში ეგზამენები ერთ ხერხდება, საჭიროდ დაინახეს ეგზამენი გამართონ მაისში ისტორია-ფილოლოგიურსა, ფიზიკა-მათემატიკურსა და ისტორია-იურიდიულს კომისიებში. წრეულს ამ წესით არ ექმნებათ ეგზამენი მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომელნიც იურიდიულს ფაკულტეტზედ ათავებენ სწავლას.

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲤᲝᲠᲡᲘ. ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომლითაც რუსეთის ქვეშევრდომთ უფლება ეძლევათ უძრავი ქონება მოიპოვონ ფინლიანდიის იმპერიაშიაც. ასეთი უფლება არ ენიჭებათ მხოლოდ მოსეს კანონის მიმდევართ.

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘᲐ. პალატა თხოულობს, რომ ნორვეგია პოლიტიკაში უფრო დამოუკიდებლად უნდა იქცეოდეს. სამინისტრომ განაცხადა, რომ ეს პალატას უნიის მტრობა მოსდის, და სამსახურიდგან გადადგა.

პეტერბურგის ბირჟა, 8 თებერვალი

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გარიგება. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 85 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | 137 | $136^{1}/_{2}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 06 | 1 08 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | $226^{1}/_{4}$ | — „ | — „ |
| —მეორისა | $226^{1}/_{4}$ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | $212^{1}/_{4}$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲐᲕᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.


# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

# ᲑᲝᲠᲥᲘᲚᲘ

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

Ა. Ი. ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲛ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი ვ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა. | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი | 1 | „ |
| ბრძენი კაცი | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა. ყდით | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე ყდით. | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა | „ | 40 |
| ცოკლე რეტორიკა, ანუ მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, ანუ სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდის ესტატესი. ყდით | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინისა ოცდა შვიდი სურათით | 10 | „ |
| Книга Калилаh и Диманаh или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна. | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. | „ | 25 |

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲔᲥᲘᲛᲘ

# ᲞᲠᲔᲝᲑᲠᲐᲟᲔᲜᲡᲙᲘ

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრების სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ხიდის პირდაპირ.

(10—6)

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული დედანით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით, ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 32 კაპეიკად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванію по „Русскому Слову“. ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ორ აბაზად.

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არამთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენ ადგილსაც დაიჭერს 25 სტრ. გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დაბეჭდილს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-ვითარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლებში, № 21.


Тифлисъ, Дов. цев. 12-го Февраля 1891 г. Тапографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Melик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.